

სკოპინგის დასკვნა N6

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: 220 კვ ძაბვის ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „წყალტუბო-ლაჯანურის“ მშენებლობა და ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (ს/კ: 204995176);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ცაგერის, ტყიბულის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტები;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 02.02.2026;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გამა კონსალტინგი“;

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს (შემდგომ - კომპანია) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) წარმოდგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის (ცაგერის, ტყიბულის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში, 220 კვ ძაბვის ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „წყალტუბო-ლაჯანურის“ მშენებლობა და ექსპლუატაცია) სკოპინგის ანგარიში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ მიერ ცაგერის, ტყიბულის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე დაგეგმილია 220 კვ ძაბვის ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (ეგხ) „წყალტუბო-ლაჯანურის“ მშენებლობა და ექსპლუატაცია. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ეგხ ჩაანაცვლებს არსებულ ერთჯაჭვა 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზს - „დერჩის“, რომელზეც 2017 წლის 31 მარტს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N16, რომლის საფუძველზეც „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (N2-335, 24.03.2021).

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზი განთავსდება 500/220/110 კვ ძაბვის საპროექტო ქვესადგურ „ლაჯანურსა“ და 500 კვ ძაბვის ქვესადგურ „წყალტუბო 500“-ს შორის. უახლოესი საცხოვრებელი სახლები ეგხ-ის დერეფნიდან დაშორებულია დაახლოებით 30-35 მ-ით (სოფ. დღნორისა, სოფ. საჩხეური). საპროექტო ეგხ-ის დერეფანი გადაკვეთს მდ. რიონს, მდ. უცხერის ღელეს, მდ. ლაშას ღელეს, მდ. ლეხიდარს და

მის მცირე შენაკადებს. ასევე გადაკვეთს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზას - „ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილს“ (შ-15).

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის განხილულია ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის ადგილმდებარეობის, ეგხ-ის ტიპის და უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივები. ვინაიდან საპროექტო ეგხ-ის განთავსება დაგეგმილია არსებული ელექტროგადამცემი ხაზის - „დერჩის“ დერეფანში, სკოპინგის ანგარიშში ტერიტორიის ალტერნატივად განხილული იქნა არსებული ეგხ-ის დერეფნის და ზოგიერთი მონაკვეთის გადანაცვლების (შემოვლითი მარშრუტი) ვარიანტები. ალტერნატიული ვარიანტების შედარებითი ანალიზის (მათ შორის, გარემოსდაცვითი, ტექნიკურ-ეკონომიური და სოციალური საკითხების გათვალისწინებით) შედეგად უპირატესობა მიენიჭა შემოვლითი დერეფნის ალტერნატივას.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში ჯამურად დაგეგმილია 125 ერთეული საყრდენი ანძის მოწყობა. 220 კვ ძაბვის ეგხ-ის საწყისი წერტილი განთავსებული იქნება წყალტუბოში არსებული ქვესადგურის ტერიტორიაზე (GPS კოორდინატები X-301897, Y-4683063), ხოლო საბოლოო წერტილი დაერთდება მშენებარე ქვესადგურ „ლაჯანური 500/220/110“-თან (GPS კოორდინატები X-320344, Y-4714291). საპროექტო ეგხ-ის სიგრძე იქნება 45.541 კმ. ეგხ-ის დერეფანი გაივლის სოფ. გუმბრას, სოფ. ბანოჯას, სოფ. გუმათს, სოფ. ზარათის, სოფ. რიონს, სოფ. ოჯოლას, სოფ. ლეყერეთს, სოფ. ლეხიდრისთავს, სოფ. საჩხეურს, სოფ. დღნორისას და სოფ. ცაგერას და მათ მიმდებარე ტერიტორიებს. ეგხ-ის დერეფანი (ბუფერი) ექცევა სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე. ანგარიშის თანახმად, ეგხ-ის დაცვის ზონაში ექცევა 339 კერძო და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, პროექტის ფარგლებში გამოყენებული იქნება „B-NS“, „B10-LC“, „B-30“, „B-60“ და „B90/DE“-ტიპის ანძები და „ACSR 500/204“ და „ACSR 400/51“ ან ანალოგიური მარკის სადენები. პროექტი ითვალისწინებს არსებული ეგხ-ის - „დერჩის“ საყრდენი ანძების დემონტაჟს, საპროექტო საყრდენი ანძების მოწყობის ადგილების მცენარეული საფარისგან გასუფთავებას, მათი განთავსების ადგილამდე მისასვლელი გზების მოწყობა-რეაბილიტაციას, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა-დასაწყობებას, საპროექტო საყრდენი ანძების მონტაჟისთვის ფუნდამენტების მოწყობას (გრუნტის სამუშაოები), ანძების ტრანსპორტირებას, მშენებლობისთვის საჭირო მასალების დასაწყობებას, რკინა-ბეტონის კონსტრუქციის აწყობას, დაცვის ზოლის მოწყობას და სადენების გაჭიმვას. სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება დაახლოებით 1.5-2 წლის განმავლობაში, დასაქმებული იქნება 50-60 ადამიანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სამშენებლო ბანაკების მოწყობა დაგეგმილი არ არის. სამშენებლო მასალების დროებითი დასაწყობება გათვალისწინებულია მშენებარე ქ/ს

„ლაჯანური 500/220/110“-ის (ს/კ: 89.14.26.186) და არსებულ ქ/ს „წყალტუბო 500“-ის (ს/კ: 29.09.46.068) ტერიტორიებზე. ეგხ-ის მშენებლობისას გამოყენებული იქნება 4 ერთეული ბრიგადული მანქანა, 5 ერთეული ამწე კრანი, 2 ერთეული დიდი ბულდოზერი, 2 ერთეული პატარა ბულდოზერი, 6 ერთეული მანიპულატორი, 3 ერთეული მაღალი გამავლობის ავტომანქანა, 3 ერთეული ექსკავატორი, 4 ერთეული ამწე კალათა და 2 ერთეული ბეტონმზიდი.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, 220 კვ ძაბვის ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „წყალტუბო-ლაჯანურის“ მშენებლობის პროცესში ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული იქნება არსებული ეგხ-ის- „დერჩის“ დერეფანი, რომელიც ძირითადად უზრუნველყოფილია მისასვლელი გზებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია შიდა მისასვლელი გზების მოწყობა და რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში სარეაბილიტაციო გზების სიგრძე იქნება 26208 მ, ხოლო მოსაწყობი საპროექტო გზების სიგრძე - 19465 მ. ანგარიშის თანახმად, მოსაწყობი და სარეაბილიტაციო გზების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების დროს წყლის გამოყენება გათვალისწინებულია სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით. სასმელი წყლით მომარაგება მოხდება ბუტილირებული სახით. საყოფაცხოვრებო-ჩამდინარე წყლების შესაგროვებლად სასაწყობე ტერიტორიებზე და სამშენებლო მოედნებზე დაგეგმილია ბიოტუალეტების განთავსება, რომლებიც პერიოდულად გაიწმინდება. პროექტი არ ითვალისწინებს სამშენებლო მოედნებზე ბეტონის და საძირკვლების ფუნდამენტების დამზადებას, რადგან ანძების საძირკვლები და კონსტრუქციები შემოტანილი იქნება მზა სახით. საჭიროების შემთხვევაში, მცირე რაოდენობის ბეტონის ნარევი შემოტანილი იქნება სხვა ბეტონის საწარმოებიდან. შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე წყლის საწარმოო დანიშნულებით გამოყენება მოსალოდნელი არ არის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების (საყრდენი ანძების საძირკვლების მოწყობა, ახალი გზების გაყვანა) პროცესში მოსალოდნელია დაახლოებით 145000 მ³ მოცულობის ფუჭი ქანების წარმოქმნა, რომელიც გამოყენებული იქნება უკუყრებისთვის და მისასვლელი გზების ვაკისების მოსაწყობად. ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობა სანაყაროს მოწყობას არ ითვალისწინებს. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მოიხსნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა იქნება დაახლოებით 11079 მ³. ანგარიშის თანახმად, მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრულია 220 კვ ძაბვის ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „წყალტუბო-ლაჯანურის“ მშენებლობა-ექსპლუატაციის შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი სახეები. ასევე მოცემულია ზოგადი ინფორმაცია იმ

ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო დერეფანში ჩატარებული გეოლოგიური კვლევის თანახმად, არახელსაყრელი გეოდინამიკური მოვლენები, როგორცაა მეწყერი, კარსტი, წარეცხვითი რელიეფი და სხვა არ გამოვლენილა. საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, ეგხ-ის დერეფანი მიეკუთვნება III (რთული) კატეგორიას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება გზმ-ის ანგარიშში

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა, ასევე ვიბრაციისა და ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება სამშენებლო სამუშაოების დროს სამშენებლო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების მუშაობასთან. წარმოდგენილი ინფორმაციით, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევასთან და ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებით ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება გზმ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, არსებული ლიტერატურული მონაცემების გათვალისწინებით, საპროექტო დერეფანში ზემოქმედების ქვეშ ექცევა ევროპის ბუნების ინფორმაციული სისტემის (European Nature Information System) 19 ტიპის ჰაბიტატი. ჩატარებული ბოტანიკური კვლევებით ეგხ-ის დერეფანში დაფიქსირდა საქართველოს წითელი ნუსხით დაცული მცენარეთა რამდენიმე სახეობა, მათ შორის: კაკლის ხე (*Juglans regia*), ჩვეულებრივი წაბლი (*Castanea sativa*), კეთილშობილი დაფნა (*Laurus nobilis*) და იმერული მუხა (*Quercus imeretina*). საველე კვლევების და არსებული სამეცნიერო ლიტერატურული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, საპროექტო დერეფანში და მიმდებარე ადგილებში გამოვლენილია ძუძუმწოვრების 35, ხელფრთიანების 18, ფრინველების 102, ქვეწარმავლების 14, ამფიბიების 8, მოლუსკების და სხვადასხვა სახის უხერხემლოების 500-ზე მეტი სახეობა. მათ შორის, ძუძუმწოვრებიდან - საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული მურა დათვი (*Ursus arctos*), ფოცხვერი (*Lynx lynx*), წავი (*Lutra lutra*), კავკასიური ციყვი (*Sciurus anomalus*), ხელფრთიანებიდან -სამხრეთული ცხვირნალა (*Rhinolophus euryale*), მეჭელის ცხვირნალა (*Rhinolophus mehelyi*), ევროპული მაჩქათელა (*Barbastella barbastellus*). ფრინველებიდან - სვავი (*Aegypius monachus*), რუხი წერო (*Grus grus*), ველის კაკაჩა (*Buteo rufinus*), მთის არწივი (*Aquila chrysaetus*), ბატკანძერი (*Gypaetus barbatus*), ორბი (*Gyps fulvus*), ჭოტი (*Aegolius funereus*), ლაკლაკი (*Ciconia ciconia*), ყარყატი (*Ciconia nigra*), ქვეწარმავლებიდან - კავკასიური გველგესლა (*Vipera kaznakovi*).

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო დერეფანი არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების საზღვრებში, თუმცა ეგხ-ის მცირე მონაკვეთი გადის სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის და სათაფლიის აღკვეთილის სიახლოვეს, კერძოდ: მანძილი ეგხ-ის დერეფნიდან ნაკრძალის საზღვრამდე შეადგენს დაახლოებით 85 მეტრს, ხოლო აღკვეთილის საზღვრამდე -

დაახლოებით 1.2 კმ-ს. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი ზურმუხტის ქსელის საიტი „Ratcha 3 GE000041“ დაშორებულია დაახლოებით 2.3 კმ-ით. საპროექტო დერეფანი ასევე არ ექცევა ფრინველებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის - IBA საიტის და საქართველოში ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიების ფარგლებში SPA ფარგლებშიც.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიის (ეგბ-ის ბუფერი, გზები, საყრდენი) 3316143 მ² ფართობიდან „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 1198918 მ² წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. წარმოდგენილი ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოპოვება.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროცესში მოსალოდნელია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლის დროებით განთავსება დაგეგმილია სეპარირებულად, სამშენებლო მასალების დასაწყობებისთვის შერჩეულ ტერიტორიებზე, სპეციალურად მოწყობილ უბანზე. ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა მოხდება შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიების მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე პროექტის განხორციელება დაკავშირებული იქნება კუმულაციურ ზემოქმედებასთან, რადგან საპროექტო ეგბ-ის სიახლოვეს დაგეგმილია სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 500 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ლაჯანური-წყალტუბოს“ მშენებლობა, რომელზეც 2025 წლის 25 ივნისს გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N333/ს). კუმულაციური ზემოქმედება ასევე დაკავშირებულია იქნება ქვესადგური „ლაჯანური 500/220/110“ (2019 წლის 25 ივნისს გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ბრძანება N2-592) და ერთჯაჭვა 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ლაჯანური - ლაჯანურ ჰესი“ (2020 წლის 20 ოქტომბერს გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ბრძანება N2-941) ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების დროს. ხოლო საპროექტო ეგბ-ის ექსპლუატაციის ეტაპზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი იქნება ფრინველებზე და ხელფრთიანებზე, რაც დაკავშირებული იქნება საყრდენ ანძებთან და სადენებთან შეჯახების, ასევე ელექტროშოკის რისკებთან. ანგარიშის თანახმად, კუმულაციური ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები წარმოდგენილი იქნება გზმ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება. მათ შორის, ინფორმაცია განთავსდა

გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე, გაეზავნა ცაგერის, ტყიბულის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების მერიებს, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით.

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართა 2026 წლის 23, 24 და 25 თებერვალს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გუმბრას და სოფ. რიონის ადმინისტრაციული ერთეულის შენობებში, სოფ. საჩხეურის საჯარო სკოლის შენობაში და ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. ოჯოლას საჯარო სკოლის შენობაში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები და ასევე, დაინტერესებული საზოგადოება. დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით საჯარო განხილვებზე დასმული კითხვები ძირითადად ეხებოდა: სამშენებლო ბანაკის მოწყობას, ახალი ელექტროგადამცემი ანძების მოწყობას, სამშენებლო სამუშაოების დაწყების ვადებს, სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს, ასევე, კერძო ნაკვეთებზე ზემოქმედებისა და მიწის მესაკუთრეებთან შეთანხმების საკითხებს (მათ შორის, დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთებსა და კომპენსაციას). საჯარო განხილვებზე დასმულ საკითხებზე შესაბამისი განმარტებები გააკეთეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვებზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმებში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირდა დაგეგმილი საქმიანობიდან გამომდინარე, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. ასევე, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი

ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;

4. გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ).

5. გზშ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა-დახასიათება;
- დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- საპროექტო ტერიტორიის დეტალური აღწერა/გარემო-პირობების დახასიათება, ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის დეტალური აღწერა, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, დეტალური ინფორმაცია მიწისქვეშა ან/და მიწისზედა ობიექტების და კერძო საკუთრებების გადაკვეთის შესახებ. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს მესაკუთრეებთან შეთანხმების დამადასტურებელი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;
- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის, არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის, ეგზ-ის ტიპის ალტერნატივების, ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ეგზ-ის განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;
- ელექტროგადამცემი ხაზის ტექნიკური პარამეტრებისა და ფიზიკური მახასიათებლების (სიგრძე, ანძების რაოდენობა, სიმაღლე და სხვ.) შესახებ, ცხრილის სახით. ასევე, დაზუსტებული ინფორმაცია ძაბვისა და ეგზ-ის განთავსების ტექნიკური პირობების შესახებ (საყრდენი ანძების კონსტრუქციებისა და სადენების ტიპები, საყრდენების დამონტაჟების პირობები და საძირკვლების პარამეტრები);
- საპროექტო ეგზ-ის დერეფნების shp ფაილები (მათ შორის, პოლიგონური), საპროექტო საყრდენი ანძების განთავსების GPS კოორდინატები და ზემოქმედების არეალში მოქცეული მიწის ნაკვეთები (საკადასტრო კოდების მითითებით);
- ინფორმაცია ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონების და ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვის შესახებ. ინფორმაცია საპროექტო ბუფერის (სქემატურ რუკაზე

და shp ფაილებზე ასახვით) შესახებ, მისი ფართობისა და ბუფერში მოქმედი შეზღუდვების შესახებ;

- დაზუსტებული მანძილი ეგხ-ის დერეფნიდან (უშუალოდ ეგხ-ის სადენებიდან და დაცვის ზონიდან/ბუფერიდან) უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე/დასახლებამდე, ზედაპირული წყლის ობიექტ(ებ)ამდე და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებამდე მდებარეობის მითითებით (რუკაზე ჩვენებით);
- ეგხ-ის სქემა/სიტუაციური რუკა (შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების მითითებით), შესაბამისი ექსპლიკაციით;
- ინფორმაცია საპროექტო ეგხ-ის მოწყობის ფარგლებში ფიზიკური/ეკონომიკური განსახლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
- ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე წყალმომარაგების (მათ შორის, სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულებით) შესახებ;
- ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის, დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი;
- ინფორმაცია პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების შესახებ, მართვის ღონისძიებების მითითებით. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ;
- ზემოქმედების არეალში არსებული საპროექტო მიწის ნაკვეთების საკუთრების ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინფორმაცია გზმ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.

5.1. გზმ-ის ანგარიშის გეოლოგიური ნაწილი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:

- რელიეფი (გეომორფოლოგია);
- გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა;
- სეისმური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) პირობების აღწერა (პიკეტური აღწერა, რომელიც თავის მხრივ უნდა მოიცავდეს ტერიტორიაზე არსებული საშიში გეოლოგიური პროცესების შეფასებასაც).

გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:

- საშიში გეოლოგიური პროცესების (არსებობის შემთხვევაში) შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით (იდენტიფიცირებული პროცესები მოცემული უნდა იყოს კოორდინატებში);
- ამასთანავე, ეგხ-ის №105-106-107-108-109 ანძები ხვდება მასშტაბური მეწყრული სხეულის არეალში (სოფ. ორხვის ტერიტორია). გამომდინარე აქედან, აღნიშნული ანძების განთავსების არეალში უნდა ჩატარდეს დამატებითი კვლევები, რომლის დროსაც შესაძლოა გამოიკვეთოს ანძების ადგილმონაცვლეობის და შესაბამისად, ეგხ-ის ამ მონაკვეთის კორექტირების საჭიროება. აღნიშნული გარემოება გათვალისწინებული უნდა იქნას გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენამდე.

5.2 პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- სამშენებლო სამუშაოების შესახებ, შესაბამისი გეგმა-გრაფიკის და ვადების მითითებით;
- მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკისა და მათი რაოდენობის შესახებ;
- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოებისა და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით) ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობისა და მისი განთავსების პირობებისა და ადგილმდებარეობების (GPS კოორდინატები, Shp ფაილები) მითითებით;
- სამშენებლო ბანაკ(ებ)ისთვის (არსებობის შემთხვევაში) შერჩეული ტერიტორიების დეტალური აღწერა-დახასიათება, GPS კოორდინატების და shp ფაილების მითითებით;
- მშენებლობის პროცესში წარმოსაქმნელი ფუჭი ქანების რაოდენობისა და მართვის შესახებ, ფუჭი ქანების განთავსების ადგილების/სანაყაროების (GPS კოორდინატები, Shp ფაილებთან ერთად) მითითებით;
- დასაბუთებული უნდა იყოს სამშენებლო ბანაკ(ებ)ისა და სანაყარო(ებ)ის განთავსებისთვის შერჩეული ადგილის/ადგილების (არსებობის შემთხვევაში) გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობები. **სანაყაროებისთვის ტერიტორიის შერჩევასა და გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე სანაყაროს მოწყობას არ ითვალისწინებს;**
- სამშენებლო ბანაკის/მოედნის (არსებობის შემთხვევაში) გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით;
- სამშენებლო ბანაკის/მოედნის (არსებობის შემთხვევაში) ელექტროენერგიით მომარაგების საკითხები;
- სამშენებლო ბანაკზე/მოედანზე (არსებობის შემთხვევაში) საწვავის შესანახი რეზერვუარის ტიპის, ტევადობისა და განთავსების პირობების შესახებ;
- საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზების შესახებ;

- ახალი მისასვლელი გზების მოწყობის ან/და არსებულის გაფართოება/რეაბილიტაციის შესახებ. ახალი მისასვლელი გზების მოწყობის ან/და არსებული გზების გაფართოება/რეაბილიტაციის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია გზების პარამეტრებისა და მოწყობის სქემის მითითებით (შესაბამისი სქემატური ნახაზებითა და shp ფაილებით (მათ შორის, პოლიგონური)). ასევე შეფასებული უნდა იქნეს გზების მოწყობით/რეაბილიტაციით გამოწვეული ზემოქმედება გარემოს კომპონენტებზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

5.3 ბიომრავალფეროვნების შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- სრულფასოვან კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ მცენარეებზე, ცხოველებზე, მათ შორის, ორნითოფაუნაზე, მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე და ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე. კვლევებმა ასევე უნდა მოიცვას საპროექტო ტერიტორიისა და მის ზეგავლენის არეალში არსებული ჰაბიტატების დეტალური აღწერა, დაცული ან/და იშვიათი სახეობების შესაძლო გავრცელების შეფასება, საბუდარი და სენსიტიური მონაკვეთების იდენტიფიკაცია, ასევე უნდა შეფასდეს დაგეგმილი საქმიანობის შესაძლო ზემოქმედება აღნიშნულ კომპონენტებზე, მათ შორის, ფრინველებზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს „წითელ ნუსხით“ დაცულ სახეობებზე) ელექტროგადამცემი ხაზების შესაძლო ზემოქმედება (ეგზ-ის სადენებთან შეჯახების შედეგად დაზიანება ან დაღუპვა). საჭიროების შემთხვევაში უნდა განისაზღვროს შესაბამისი შემარბილებელი ან/და საკომპენსაციო ღონისძიებები;
- ვინაიდან საპროექტო დერეფანი უშუალოდ ემიჯნება სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიას, პროექტის განხორციელების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს მიმდებარედ დაცული ტერიტორიის არსებობა, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი რაიმე სახის უარყოფითი ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე და გამოყენებულ იქნას ის სტანდარტები, რომელიც ითვალისწინებს დაცულ ტერიტორიებზე წარმოდგენილი ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნებას;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საკვლევი ტერიტორიის მიმდებარედ ლიტერატურულად ცნობილი და სავლელე კვლევის დროს დაფიქსირებული ქვეწარმავლების და ამფიბიების ზოგიერთი სახეობის საერთაშორისო საკონსერვაციო სტატუსები არასწორია, კერძოდ, ანგარიშში ართვინის ხელიკს (*Artwin Lizard*), კავკასიური გომბემოს (*Bufo verrucosissimus*) და კავკასიური ჯვარულას (*Pelodytes caucasicus*) მინიჭებული აქვს სტატუსი - NT - საფრთხესთან მიახლოებული, მაშინ როდესაც IUCN-ის (ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის) მიერ განსაზღვრული საკონსერვაციო სტატუსის მიხედვით, აღნიშნულ სახეობებს მინიჭებული აქვთ

საკონსერვაციო სტატუსი LC - მინიმალური საფრთხის წინაშე მყოფი. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში აღნიშნული ინფორმაციის დაზუსტებას საჭიროებს;

- გარდა ზემოაღნიშნულისა, სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ყურწვეტა მდამიობი - (*Myotis blythii*) - მითითებულია წითელი ნუსხით დაცულ სახეობად სტატუსით - VU მოწყვლადი. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №190 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს „წითელ ნუსხაში“ მოცემული სახეობების მიხედვით, მოქმედ წითელი ნუსხით დაცული სახეობაა გრძელყურა მდამიობი (*Myotis bechsteinii Kuhl*) სტატუსით - VU - მოწყვლადი. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში სახეობების ეროვნული საკონსერვაციო სტატუსების შესახებ ინფორმაცია (მათ შორის, ქვეწარმავლებისა და ამფიბიების შემთხვევაში) მოცემული უნდა იქნას საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №190 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს „წითელ ნუსხაში“ მოცემული სახეობების, ასევე მათი მდგომარეობისა და დაცულობის სტატუსების (ე.წ. საკონსერვაციო სტატუსი) შესაბამისად;
- ზუსტი მონაცემები ელექტროგადამცემი ხაზის და მისი მშენებლობისთვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურის (მათ შორის, მისასვლელი გზები) მოსაწყობად დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსაჭრელი ხე-მცენარეების შესახებ, მათი სახეობების მიხედვით, რაოდენობისა და მოცულობის მითითებით (ე.წ ტყეკაფის უწყისი);
- გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმა (ან შესაბამისი საკითხები აისახოს ერთიან მონიტორინგის გეგმაში), სადაც სამონიტორინგო დაკვირვებები მოცემული იქნება ბიომრავალფეროვნების ცალკეული კომპონენტისთვის. გეგმაში ასევე უნდა აისახოს შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების (საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით), მონიტორინგის ჩატარების სიხშირისა და ვადის/ხანგრძლივობის, ასევე სააგენტოსთან ანგარიშგების საკითხები;

6. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისთვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, მათ შორის, სამშენებლო ტექნიკისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტის (მოწყობის შემთხვევაში) მუშაობისას წარმოქმნილი ემისიები, გაზნევის ანგარიშის მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;
- პროექტის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს არსებობის/მოწყობის შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს ატმოსფერულ

ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;

- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ხმაურის გავრცელების მოდელირება;
- ელექტრომაგნიტური ველების გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, საჭიროების შემთხვევაში - შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე ზედაპირული წყლის ობიექტზე მოსალოდნელი ზემოქმედება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- საპროექტო ეგზ-ის დერეფანი გადაკვეთს რამდენიმე მდინარეს და ბუნებრივ ხევს, მათ შორის, მდ. რიონს, მდ. უცხერის ღელეს და მდ. ლეხიდარს. გზმ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია ზედაპირული წყლის ობიექტების გადაკვეთების შესახებ (გადაკვეთის წერტილების კოორდინატების მითითებით და ტექნიკური გადაწყვეტების აღწერით), შესაბამისი დასაბუთებით;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების (კოდები, დასახელებები, რაოდენობა) და მათი შემდგომი მართვის შესახებ, „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- შესაძლო პირდაპირი ან/და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე, მოსალოდნელი ზემოქმედების აღწერა და შედეგების შესწავლა, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების (მარშრუტებისა და სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობის მითითებით) შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ზემოაღნიშნული ფაქტორებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საკვლევ რეგიონში არსებული და დაგეგმილი პროექტები;

- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე (წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საპროექტო არეალში ზემოქმედებას დაქვემდებარებული (ეგხ-ის დაცვის ზონაში/ბუფერში მოქცეული) მიწის ნაკვეთებისა და მათი მესაკუთრეების ინფორმირების/შეთანხმების შესახებ), ასევე, ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე. ამასთან, უნდა განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, მოსალოდნელი სავარაუდო ზიანი და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება გავლენის ზონაში არსებული და დაგეგმილი საქმიანობების გათვალისწინებით (ყურადღება უნდა გამახვილდეს ბიომრავალფეროვნებაზე, განსაკუთრებით, ორნითოფაუნაზე, მათ შორის, გადამფრენ ფრინველებზე ზემოქმედების ჭრილში);
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკების მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებისთვის **შემუშავებული შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი**;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა** (შესაბამისი საკონტროლო წერტილების მონიტორინგის სიხშირისა და მეთოდის მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სოციალური პაკეტების შესახებ (არსებობის შემთხვევაში). ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია სკოპინგის ეტაპზე, საჯარო განხილვებზე გამოთქმული მოსაზრებების/შენიშვნების შეფასების და აღნიშნული კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ;
- გზშ-ის ეტაპზე დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ნებისმიერი ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ ინფორმაცია.

7. შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, წარმოდგენილი მთლიანი 3316143 კვ.მ. ფართობიდან (ბუფერი, გზები, საყრდენი პოლიგონები) „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, **1198918 კვ.მ. ფართობი წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს.** კერძოდ, ცაგერის სატყეო უბნის ტვიშის სატყეოს კვარტალი N4, 14, 16, 34, 35, 45; ტყიბულის სატყეო უბნის ორპირის სატყეოს, კვარტალი NN1-3, 11, 16-18, 23, 24, 28, 61; ქუთაისი-წყალტუბოს სატყეო უბნის ჟონეთის სატყეოს (ყოფილი საკოლმეურნეო ტყე) და ცხუნკურის სატყეოს (კვარტალი NN7, 8 და ყოფილი საკოლმეურნეო ტყე). სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით (თავი XIV) განსაზღვრული საქმიანობა, ან მისი განკარგვა სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმებას საჭიროებს. შესაბამისად, **განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით, გზშ-ის ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრული სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოს მოსაზრება;**
- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორია კვეთს კვეთს გუმათის დიაბაზის გამოვლინების (მოსაპირკეთებელი ქვა) და ამავე გამოვლინებაზე სასარგებლო წიაღისეულის (დიაბაზი) მოპოვებაზე გაცემული ლიცენზიის N1677 (შპს „ერთაწმინდა“, ვადა - 11.03.2035 წ.) კონტურს. გარდა ზემოაღნიშნულისა, საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზი კვეთს ბანოჯას კირქვის (კირქვა კირის წარმოებისთვის, საღორღე ნედლეული) საბადოების და მექვენას ბარიტ-კალციტის საბადოს კონტურს, შესაბამისად, თანაკვეთის ნაწილი ექვემდებარება წიაღზე დამაგრებას. **აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენამდე, ხოლო ანგარიშს თან უნდა ახლდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან კომუნიკაციის/შეთანხმების ამსახველი დოკუმენტაცია;**
- სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცნობით, საპროექტო მონაკვეთი არ მდებარეობს დაცული ტერიტორიის საზღვრებში, თუმცა უშუალოდ ემიჯნება სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიას. **აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენამდე, ხოლო ანგარიშს თან უნდა ახლდეს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან კომუნიკაციის/შეთანხმების ამსახველი დოკუმენტაცია;**
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზი კვეთს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზას „ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილს“ (შ-15), შესაბამისად, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- წარმოდგენილი Shp ფაილების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია კვეთს შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ საკუთრებაში არსებულ გაზსადენებს. შესაბამისად, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს შპს „სოკარ ჯორჯია გაზთან“ შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- წარმოდგენილი Shp ფაილების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია კვეთს შპს „დელტა კომმის“ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურას. შესაბამისად, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს შპს „დელტა კომმთან“ შეთანხმების (მათ შორის, კომუნიკაციის) დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ცნობით, საპროექტო ტერიტორიაზე/მიმდებარედ განთავსებულია სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ 110/35/10/0.4 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზები (ს/კ: 29.00.671; 29.00.645; 29.00.646). შესაბამისად, დაგეგმილი სამუშაოების შესასრულებლად სავალდებულოა საქმიანობის განმახორციელებელმა იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილებით, რომლითაც დამტკიცებულია „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები“. **აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენამდე, ხოლო ანგარიშს თან უნდა ახლდეს სს „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“ კომუნიკაციის/შეთანხმების ამსახველი დოკუმენტაცია;**
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპროექტო დერეფანში ფიქსირდება საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი მცენარე - ბალამწარა (*Cerasus silvestris*), სტატუსით - VU მოწყვლადი. გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №190 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს „წითელ ნუსხაში“ მოცემული სახეობების მიხედვით, წითელი ნუსხით დაცული სახეობაა მცირენაყოფიანი ბალამწარა (*Cerasus microcarpa C. A. Meyer*), სტატუსით - VU მოწყვლადი. გზშ-ის ანგარიშში ზემოაღნიშნული საკითხი დაზუსტებას/კორექტირებას საჭიროებს;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი გადაკვეთს მდ. რიონს, მდ. ლეხიდარს და მდ. უცხერის დელეს, თუმცა მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დადგინდა, დერეფანი ასევე კვეთს მდინარე ლაშას დელეს. შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „პროექტის მიხედვით ექსკავირებული ქანები სრულად გამოყენებული იქნება პროექტის მიზნებისათვის და ფუჭი ქანების სანაყაროზე განთავსება არ იქნება საჭირო.“ თუმცა არ არის მოცემული ინფორმაცია ფუჭი ქანების დროებითი განთავსების შესახებ, რაც დაზუსტებას საჭიროებს;
- სკოპინგის ანგარიშის ბიოლოგიური გარემოს აღწერის ნაწილში წარმოდგენილია 2019 წელს ჩატარებული კვლევები. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას განახლებული კვლევებზე დაყრდნობით;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპროექტო ეგხ-ის მცირე მონაკვეთი გაივლის ზურმუხტის ქსელის კანდიდატი უბნის - „Ratcha 3 GE0000041“ სიახლოვეს. გაცნობებთ,

რომ 2026 წლის მონაცემებით, საქართველოში ზურმუხტის ქსელი მოიცავს 66 საიტს, რომელთაგანაც ყველას ტერიტორია დამტკიცებულია. შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერი კორექტირებას საჭიროებს;

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზი დაიწყება ქ. წყალტუბოს სიახლოვეს არსებულ ქს „წყალტუბო 500“-იდან, რაც ასევე აღნიშნულ იქნა საჯარო განხილვებზე, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ წარმომადგენლების მიერ. თუმცა წარმოდგენილი Shp ფაილებისა და სიტუაციური სქემების (სურათი 4.1.2; ნახაზი 4.3.1.1 და სხვ.) თანახმად, საპროექტო ეგხ იწყება 220 კვ ძაბვის წყალტუბოს ქვესადგურიდან (ს/კ: 29.09.46.068), რომელიც ქს „წყალტუბო 500“-დან (ს/კ: 29.10.32.270) დაშორებულია დაახლოებით 480 მეტრით. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ეგხ-ის საწყისი და საბოლოო წერტილები, ხოლო წყალტუბოს დაზუსტებული ქვესადგურის შესაბამისად, დოკუმენტი საჭიროებს გადამუშავებას (საჭიროების შემთხვევაში, საყრდენი ანძების კორექტირებული ადგილმდებარეობების მითითებით). ამასთან, დოკუმენტის ტექსტობრივ ნაწილში შესაბამისობაში უნდა იყოს სიტუაციურ სქემებსა და Shp ფაილებში მოცემული ინფორმაცია;
- გარდა ამისა, სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მშენებლობის პროცესში ანძების კონსტრუქციები და სხვა სამშენებლო მასალები დროებით დასაწყობდება ქს „ლაჯანური 500“-ის (ს/კ 89.14.26.186) და ქს „წყალტუბო 500“-ის (ს/კ 29.09.46.068) ტერიტორიებზე. აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას საპროექტო ეგხ-ის საწყისი და საბოლოო წერტილების კორექტირების შესაბამისად;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „AP-D03A საყრდენი ანძიდან წარმოდგენილია განშტოება ერთი ანძის სახით, რომელიც წინამდებარე სკოპინგის ანგარიშში პირობითად აღინიშნება როგორც AP-43 ანძა.“ მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ აღნიშნული ანძა ემთხვევა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 500 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ლაჯანური-წყალტუბოს“ ანძას (2025 წლის 25 ივნისს გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ბრძანება N333/ს), რომელიც გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია ასევე როგორც - „AP43“ (GPS კოორდინატები: X-302808, Y-4683878). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია AP-43 ანძ(ებ)ისა და საპროექტო ეგხ-ის 500 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზთან დაკავშირების შესახებ, განშტოების საჭიროების/მიზნის დასაბუთებით;
- წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საქართველოს მთავრობის 2021 წლის 09 ივნისის N274 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველების ჯილეხთან ბრძოლის პროფილაქტიკური საკარანტინო წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ;

- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს წინამდებარე სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ წარმოდგენილ საქმიანობაზე (ცაგერის, ტყიბულის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში, 220 კვ ძაბვის ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „წყალტუბო-ლაჯანურის“ მშენებლობა და ექსპლუატაცია) **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიშში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით, სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.